კრონლეტარიელო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოს ორგანო

KOMUNISTI ORGAN CENTRALNOGO i TBILISSKOGO KOMITETOV KP (b) GRUZII i SOVETOV DEPUTATOV TRUDJAŠČIHSA GRUZINSKOJ SSR

გამოდის 29-ე წელი

შაბათი, 9 აპრილი, 1949 წ. № 69 (8372). ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს გაზეთში.

ციტრუსოვანთა პირველი მილიარდი ნაყოფისათვის—მოწონავი (1-ლი გვერდი).

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარის კიმ ირ სენის დეპეშა იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს და საბჭოთა საქმეთა მინისტრის პაკ ხენ ენის დეპეშა ა. ი. ვიშინსკის. (1-ლი გვერდი).

საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრება (1-ლი გვერდი).

პარტიული ცხოვრება (მე-2 გვერდი).

ვ. სალაძე — საბჭოთა მშენებლობის მუშაკთა ამოცანები (მე-2 გვერდი).

ადგილობრივი გაზეთების ფურცლებზე (მე-2 გვერდი).

მ. ჩუბინიძე — სოციალისტური სახელმწიფო კონტროლის ვი ფელი (მე-3 გვერდი).

ვ. კორიონოვი — როგორ მოვაწყოთ მეცადინეობა თემაზე „საბჭოთა კავშირი მშვიდობისა და დემოკრატიის ბურჯია“ (მე-3 და მე-4 გვერდი).

ბაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მესამე სესია (მე-4 გვერდი).

ციტრუსოვანთა პირველი მილიარდი ნაყოფისათვის

ჩვენმა მეციტრუსეებმა წარშანდული წელი წარმატებით დაამთავრეს, საბჭოთა კავშირის მშრომელებს მისცეს 695 მილიონზე მეტი ფორთოხალი, ლიმონი და მანდარინი.

ბოლშევიკური პარტიის, საბჭოთა მთავრობის, პირადად დიდი სტალინის მზრუნველობით საქართველოში შექმნილია ძლავრი სუბტროპიკული მეურნეობა. საქართველო ციტრუსოვანთა ნაყოფთ საბჭოთა კავშირის მოსახლეობის მომარაგების ძირითადი ბაზაა. აქედან ცხადია, რომ ჩვენი რესპუბლიკის ბოლშევიკებმა და მეციტრუსეებმა უნდა იზრუნონ ციტრუსოვანთა მეურნეობის შემდგომი მძლავრი აღმავლობისათვის.

საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობამ დაავალა სუბტროპიკული რაიონების პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს, სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს უზრუნველყონ ციტრუსოვანთა პლანტაციების მოსავლიანობის გადიდება იმ ვარაუდით, რომ 1955 წლისათვის ციტრუსოვანთა ნაყოფის დამზადება აღეკვნონ 2—2,5 მილიარდ ცალამდე, 1955 წლის დამლევისათვის ციტრუსოვანთა პლანტაციების ფართობი გაადიდონ 40.000 ჰექტარამდე. ეს იმას ნიშნავს, რომ 1951 წლიდან ხუთი წლის განმავლობაში უნდა გაშენდეს ციტრუსოვანთა 11.000 ჰექტარი ახალი პლანტაცია.

საბჭოთა მეციტრუსეების წინაშე დიდი ამოცანა დგას. მაგრამ მისი გადაჭრა სავსებით შესაძლებელია. ამის საწინდარია ის შესანიშნავი კადრები, რომლებიც ახლა ჩვენს სუბტროპიკულ მეურნეობას ჰყავს. ციტრუსოვანთა მეურნეობის მოწინავეთა გამოცდილება გვიჩვენებს, რომ საქართველოში დიდი პერსპექტივებია ფორთოხლის, ლიმონისა და მანდარინის მოსავლიანობის გასადიდებლად, რამდენიმე მაგალითი. ქობულეთის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის ამბ. დავითაძის ბრიგადა 4.000 ძირ მანდარინს უყლიდა და სახელმწიფოს თვითეულ ძირზე საშუალოდ 917 ნაყოფი ჩაბარა. ამავე რაიონის კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბრის“ ამხ. ვარშალომიძის ბრიგადამ 1.000 ძირი ლიმონის თვითეულ ძირზე საშუალოდ 360 ნაყოფი მიიღო, ხოლო 500 ძირ ფორთოხალზე — 400 ნაყოფი თვითეულზე. ბათუმის რაიონის ვორშილოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა ამხ. ჰუსეინ ბერიძემ 400 მანდარინის ხეზე მოკრიფა საშუალოდ თვითეულზე 1.442 ნაყოფი. ლიმანტრესტის ურეკის საბჭოთა მეურნეობამ შარშან თვითეულ ხეზე მოკრიფა და სახელმწიფოს ჩაბარა საშუალოდ 493 ცალი მანდარინი. ახალშენის საბჭოთა მეურნეობის მუშამ მიხეილ ხუნდაძემ მიჩინილ 350 ლიმონის ხეზე საშუალოდ 467 ლიმონი მოკრიფა. ასეთი მაგალითი ბევრი შეიძლება მოეიყვანოთ.

ამოცანა ის არის, რომ უფრო ფართოდ გავაფართოთ მოწონავე მეციტრუსეთა გამოცდილება და მივაღწიოთ ციტრუსოვანთა პლანტაციების მოსავლიანობის სწრაფ გადიდებას.

საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობ.ზე ამხასაგა კ. ჩარკვიანმა თქვა: „... საქართველოს ბოლშევიკებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ იმისათვის, რომ საბჭოთა კავშირის მოსახლეობამ უკვე წელს მიიღოს საქართველოდან ციტრუსოვანთა პირველი მილიარდი ნაყოფი“.

ამ ამოცანის შესასრულებლად ამთავითვე, უნდა დავრაზმოთ მეციტრუსეთა ძალები.

იმისათვის, რომ მეციტრუსეებმა ყოველწლიურად მისცენ ჩვენს ქვეყანას მილიარდობით ცალი ციტრუსოვანთა ნაყოფი, მათ დასჭირდებათ დაძაბული შრომა.

უწინარეს ყოვლისა საჭიროა მიმდინარე წლიდანვე შეეუდგეთ ციტრუსოვანთა ახალი პლანტაციებისათვის მიწის ნაკვეთების გამოძებნას. ეს მოითხოვს სამეგრელოსა და იმერეთში ციტრუსოვანთა საზღვრების გაფართოებას. ცხაკაიას, ჩხოროწყუს, გეგეჭკორის, სამტრედიის, ვანის, ჩოხატაურის რაიონები მოწოდებული არიან ყველა შესაძლებლობა გამოიყენონ ციტრუსოვანთა ახალი პლანტაციების გასაშენებლად.

თვითეული ციტრუსოვანი ხის მოსავლიანობის გადიდება კვლავ ძირითადი ამოცანაა.

სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა მუშაკების და ყველა მეცნიერი მუშაკის ღირსების და სახელის საქმეა ლიმონის, ფორთოხლისა და მანდარინის ყინვაგამძლე ჯიშების გამოყვანა. ბუნების დიდი გარდამქმნელის ი. მიჩურინის მეთოდების გამოყენებით ჩვენმა მეცნიერმა მუშაკებმა და მცდელმა კოლმეურნეებმა უნდა გაამდიდრონ ციტრუსოვანთა მეურნეობა ახალი, კარგი, ხელსაყრელი ჯიშებით.

საგაზაფხულო სამუშაოთა შესრულებაზე მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია წელს ერთი მილიარდი ციტრუსოვანთა ნაყოფის მოება. ზოგან ეს კარგათ აქვთ შეგნებული. აფხაზეთისა და ლანჩხუთის რაიონებში წარმატებით დაამთავრეს ციტრუსოვანთა პლანტაციებში ისეთი ძირითადი სახის სამუშაო, როგორიცაა დაბარვა და მინერალური სასუქის შეტანა. საერთოდ რესპუბლიკაში კი ციტრუსოვანთა პლანტაციების დაბარვა აშკარად ნელი ტემპით მიმდინარეობს. ვანის, სამტრედიის, ცხაკაიას, წულუკიძისა და გეგეჭკორის რაიონებს ეს სამუშაო 1 აპრილისათვის დაწყებულიც არ ჰქონდათ.

არც ციტრუსოვანთა პლანტაციების წამლობის ბრიგე არის დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა. აფხაზეთის ასს რესპუბლიკის, მახარაძისა და ხობის რაიონების გარდა, აღნიშნული დროისათვის სხვა რაიონებს ციტრუსოვანთა პლანტაციების წამლობა დაწყებული არ ჰქონდათ. შხამმასალებით და აპარატურით კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები უზრუნველყოფილი არიან. მაგრამ ამ აპარატურის დიდი ნაწილი, რომელიც 5-6 თვის წინათ იყო შეზიდული რაიონებში, საქართველოს სოფლმომარაგების რაიონული საწყობებიდან კოლმეურნეობებს ჯერ კიდევ მთლიანად არ გაუტანიათ. საგაზაფხულო სამუშაოთა ტემპის მკვეთრად გაძლიერება — აი რა არის ახლა საჭირო და აუცილებელი.

დიდად მნიშვნელოვანია სანერგე მეურნეობის გაფართოების საკითხი. „ჩვენ ვალდებული ვართ ყოველწლიურად გამოვიყენოთ ციტრუსოვანთა იმდენი სტანდარტული ნერგი, რომ მთლიანად უზრუნველყოთ არა მარტო საქართველოსათვის დასახული გეგმის შესრულება, არამედ საბჭოთა კავშირის ახალი, ციტრუსოვანთა რაიონების მოთხოვნილების დაკმაყოფილებაც სარგავი მასალით“. (კ. ჩარკვიანი).

მაშასადამე, ნერგების გამოსავლიანობის გადიდება კვლავ დიდნიშვნელოვანი ამოცანაა. სამწუხაროდ, ცალკეულ რაიონებში არასაკმაოდ იბრძვიან სანერგე მეურნეობის გასაფართოებლად. ამით აიხსნება, რომ ტრიფოლიატის თესვა 1 აპრილისათვის დაწყებული არ ჰქონდათ ზესტაფონის, წყალტუბოს, ჩხარის, ვანის, გეგეჭკორის, ჩხოროწყუს რაიონებსა და ფოთს. ტრიფოლიატის თესვის გეგმა ყველა კოლმეურნეობამ უნდა შეასრულოს.

ციტრუსოვანთა პლანტაციებში მიმდინარე სამუშაოთა აგროტექნიკურ ვადებში და ხარისხის დაცვით შესრულება, ნარგავების მოვლის გადაჭრით გაუმჯობესება, მოწონავეთა გამოცდილების ფართო მასშტაბით გამოყენება, სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღება, ნაკისრ ვალდებულებათა მიმდინარეობის სისტემატური შემოწმება, ჩამორჩენილთა აყვანა მოწინავეთა დონემდე — აი ის საკითხები, რომელთა მოსაგვარებლად სისტემატურად უნდა იზრუნონ სუბტროპიკული რაიონების პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებიებმა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა.

უნარიანი მუშაობით სოფლის მშრომელები პარტიული ორგანიზაციების მტკიცე ხელმძღვანელობით მიმდინარე წელს აუცილებლივ შეძლებენ საბჭოთა სამშობლოს მისცენ პირველი მილიარდი ციტრუსოვანთა ნაყოფი. ეს კი ჩვენი სახელოვანი მეციტრუსეების დიდი გამარჯვება იქნება.

პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმში

პროფკავშირთა კლუბების, სახლები სა და სასახლეების, ბიბლიოთეკების, წითელი კუთხეებისა და კინოდანადგარების გარეშე საკავშირო დათვალიერება

საკავშირო პროფსაბჭომ დაადგინა 1949 წლის 5 აპრილიდან 1 ოქტომბრამდე ჩატარდეს პროფკავშირთა კლუბების, კულტურის სახლებისა და სასახლეების, ბიბლიოთეკების, წითელი კუთხეებისა და კინოდანადგარების საკავშირო დათვალიერება.

საკავშირო დათვალიერება ეწყობა მუშებსა და მოსამსახურეებს შორის პოლიტიკურ-საგანმანათლებლო და კულტურულ-მასობრივი მეცადინეობის შემდგომი გაუმჯობესებს, პროფკავშირთა კლუბების, კულტურის სახლებისა და სასახლეებს, ბიბლიოთეკებისა და წითელი კუთხეების ფილეო მუშაობის იდეური დონის ამაღლების მიზნით.

დამტკიცებულია კლუბების, კულტურის სახლებისა და სასახლეების, ბიბლიოთეკების, წითელი კუთხეებისა და კინოდანადგარების საკავშირო დათვალიერების პირობები.

დათვალიერების მონაწილეთა პრემირებისათვის და დათვალიერების მოსაწყობი საორგანიზაციო ხარჯებისათვის სახსრები გადაეცემა პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს ბიუჯეტიდან. იმ კლუბების, კულტურის სახლებისა და სასახლეების, ბიბლიოთეკებისა და წითელი კუთხეებისათვის კულტინვენტარის, მასალებისა და წიგნების შესაძენად, რომლებიც დათვალიერების პირობებს შეასრულებენ, გამოყოფილია 3 მილიონ 622,5 ათასი მანეთი.

საკავშირო დათვალიერების ხელმძღვანელობისათვის შექმნილია ცენტრალური დამთვალიერებელი კომისია.

მოსკოვი, კრემლი

გენერალისიმუს იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია დღეს ტოვებს საბჭოთა კავშირის ტერიტორიას უდიდესი მადლობის გრძნობით საბჭოთა მთავრობისადმი, პირადად თქვენდამი, გენერალისიმუსო სტალინ, განსაკუთრებით გულთბილი მიღებისათვის, სტუმარმოყვარეობისათვის და მოლაპარაკებაში მიღწეული შედეგებისათვის, რომლებიც საუკეთესოდ შეუწყობენ ხელს ჩვენი ერების კეთილდღეობასა და აყვავებას.

ჩვენმა ჩამოსვლამ საბჭოთა კავშირში და ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთ პატივისცემისა და სახელმწიფო სუვერენიტეტის პრინციპებზე დამყარებულ თანასწორუფლებიან შეთანხმებათა დადებამ ახალი საუცხოო ფურცელი გადაშალა კორეისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობის ისტორიაში, კიდევ უფრო განამტკიცა ახალგაზრდა კორეის რესპუბლიკის პოლიტიკური და საერთაშორისო მდგომარეობა და ორივე ქვეყნის ხალხებს შორის მეგობრობა, რომელიც განმტკიცებულია სოციალისტური სამშობლოს კეთილშობილი შვილების სისხლით, რაც მათ დაღვარეს სამართლიანობის გასამარჯვებლად შორეულ აღმოსავლეთში წითელი არმიის განმათავისუფლებელი მისიის შესრულებისას.

30-მილიონიან კორეელ ხალხს, რომელიც იბრძვის თავისი დამოუკიდებლობისათვის და იმპერიალისტურ სახელმწიფოთა დამპყრობლური ღონისძიებების წინააღმდეგ, სამუდამოდ ეხსომება, რომ იგი თავის განთავისუფლებას უნდა უმადლოდეს მხოლოდ საბჭოთა კავშირს, დიდ სტალინს.

საბჭოთა ხალხის უანგარო ძმური დახმარებაში მსოფლიო და, უწინარეს ყოვლისა, კორეელი ხალხი ხედავს საბჭოთა კავშირის მისწრაფებას დახმარება გაუწიოს კორეელ ხალხს ჩვენი ეროვნული ეკონომიკისა და კულტურის აღორძინებისა და შემდგომი განვითარების, კორეის ერთ სუვერენულ დემოკრატიულ სახელმწიფოდ გაერთიანების საქმეში.

ჩვენი ყოფნა საბჭოთა კავშირში ესოდენ შინაარსიანი და ბედნიერი იყო კიდევ იმით, რომ სსრ კავშირის მთავრობამ, საბჭოთა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა ფართო შესაძლებლობა მოგვცეს გავცნობოდით მსოფლიოში უბედნიერესი საბჭოთა ხალხის ყოფაცხოვრებას, ეკონომიკასა და კულტურას. მოსკოვში, ლენინგრადში და ყველგან, სადაც ჩვენ ვიყავით, გულთბილად და გულითადად გვხვდებოდნენ.

ჩვენზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა საბჭოთა კავშირის დედაქალაქმა მოსკოვმა და გმირმა ქალაქმა ლენინგრადმა. ჩვენ აღტაცებული ვართ საბჭოთა ხალხის გმირული შემოქმედებითი შრომითა და მგზნებარე პატრიოტიზმით, საბჭოთა ხალხისა, რომელიც მსოფლიოში ყველაზე მოწინავე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ წყობილებას აშენებს. აუწერელია, თუ რა მტკიცედ არის დარაზმული საბჭოთა ხალხი თავისი მთავრობისა და ბელადის გენერალისიმუს სტალინის გარშემო.

ჩვენ თან მიგვაქვს უაღრესად ნათელი გრძნობები და ურყევი რწმენა ბედნიერი მომავლისა, რომელიც ესოდენ სწრს პროგრესულ კაცობრიობას.

ტოვებს რა საბჭოთა კავშირს, კორეის მთავრობის დელეგაცია უსურვებს საბჭოთა ხალხს შემდგომს აყვავებას, ბედნიერებას, ჯანმრთელობასა და მრავალი წლის სიცოცხლეს გისურვებთ თქვენ, ძვირფასო გენერალისიმუსო სტალინ, მთელი მსოფლიოს მშრომელთა საკეთილდღეოდ და საბედნიეროდ.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარე კიმ ირ სენი

მოსკოვი

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს ა. ი. ვიშინსკის

ვცილდები რა დიდი საბჭოთა კავშირის საზღვარს, პატივი მაქვს კორეის მთავრობის დელეგაციის სახელით სულითა და გულით მივესალმო საბჭოთა მთავრობას და მოგესალმოთ პირადად თქვენ, ბატონო საგარეო საქმეთა მინისტრო.

კორეის მთავრობის დელეგაცია საბჭოთა კავშირში ყოფნის დროს, თქვენი მთავრობის და განსაკუთრებით გენერალისიმუს სტალინის ყურადღების მეოხებით, ყველგან გულთბილ მიღებასა და დახმარებას ხვდებოდა.

ურთიერთნდობისა და მეგობრობის ვითარებაში ჩვენმა დელეგაციამ გადაწყვიტა ყველა საკითხი და დადო კორეა-საბჭოთა კავშირის შეთანხმება, რომელსაც ისტორიული მნიშვნელობა აქვს.

ნება მიბოძეთ გამოვთქვა უდიდესი მადლობა საბჭოთა მთავრობისადმი, პირადად თქვენდამი იმ ყურადღებისათვის, რომლითაც ჩვენს დელეგაციას მოეკყარით, ჩვენთვის მოცემული შესაძლებლობისათვის — გავცნობოდით საბჭოთა ხალხის ცხოვრებასა და დიდს შემოქმედებითს შრომას.

ნება მომეცით გისურვოთ თქვენ, ბატონო საგარეო საქმეთა მინისტრო, ჯანმრთელობა და დიდი წარმატებანი საბჭოთა კავშირის სტალინური საგარეო პოლიტიკის გატარებისათვის შემდგომ მუშაობაში, პოლიტიკისა, რომელიც მიმართულია საყოველთაო მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების უზრუნველყოფისაკენ.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი პაკ ხენ ენი

ნ. მ. შვერნიკმა მიიღო ფინეთის დესპანი ბ-ნი ჯ. სუნდსტრემი

8 აპრილს ფინეთის საგანგებო დესპანმა და სრულუფლებიანმა მინისტრმა ბ-ნმა ჯ. სუნდსტრემმა ინახულა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. მ. შვერნიკი და ფინეთის პრეზიდენტის სახელით მოუოლია საბჭოთა კავშირ-ფინეთის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების დადების პირველი წლისთავი. (საკდესი).

მოსკოვიდან გაემგზავრა ჩინეთის ეღჩი სსრ კავშირში ბ-ნი ფუ ბინ-ჩანი

8 აპრილს მოსკოვიდან გაემგზავრა ჩინეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ბ-ნი ფუ ბინ-ჩანი.

ვნუკოვოს აეროდრომზე ბ-ნი ფუ ბინ-ჩანი გააცილეს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების კაცმა ნ. ბუშუევმა, ჩინეთის საელჩოს წევრებმა და მოსკოვში აკრედიტებული მთელი რიგი საელჩოებისა და მისიების მეთაურებმა. (საკდესი).

ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲐᲚᲙᲐ XI ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐ

7 აპრილს საკავშირო ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის XI ყრილობა განაგრძობდა მუშაობას.

დილის სხდომაზე დასახელებულ და განხილულ იქნენ საკავშირო ალკა ხელმძღვანელ ორგანოებში — საკავშირო ალკა ცენტრალურ კომიტეტსა და საკავშირო ალკა ცენტრალურ სარევიზიო კომისიაში ასარჩევი კანდიდატები.

საღამოს სხდომაზე შედგა საკავშირო ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნები ფარული კენჭისყრით.

დღეს ყრილობა განაგრძობს თავის მუშაობას. (საკდესი).

Ი. Ბ. ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲗᲮᲖᲣᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲛᲔ-4 ᲬᲝᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ ᲤᲘᲜᲣᲠ ᲔᲜᲐᲖᲔ

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ, 6 აპრილი. (საკდესი). კარელია-ფინეთის სახელმწიფო გამომცემლობამ გამოუშვა ფინურ ენაზე თარგმნილი ი. ბ. სტალინის თხზულებათა მეოთხე ტომი.

ᲑᲐᲛᲑᲘᲡ ᲛᲝᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲡᲐᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს შემადგენლობაში მოწყობილია ბამბის მთავარი სამმართველო. მას ეკისრება ხელმძღვანელობა შუა აზიის რესპუბლიკებსა და აზერბაიჯანის სს რესპუბლიკაში სოფლის მეურნეობის ყველა დარგისა და დანარჩენ ბამბისმთესველ რესპუბლიკებსა, მხარეებსა და ოლქებში ბამბის წარმოებისადმი. (საკდესი).

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

საქართველოს სსრ საბჭოთა კონტროლის სამინისტროს მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სსრ კავშირში სოციალისტური სახელმწიფო კონტროლის შექმნის 30 წლისთავთან დაკავშირებით, სოციალისტური სახელმწიფო კონტროლის დარგში ნაყოფიერი მუშაობისათვის დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:

1. ბაბუნაშვილი კონდრატი იოსების-ძე,
2. ბახტაძე ელენე ალექსანდრეს ასული,
3. ბერეზანაძე ვლადიმერ მალხაზის-ძე,
4. გრიგოლაძე ნინო ნიკოლოზის ასული,
5. თოფურიძე იოსებ ანტონის-ძე,
6. იაკობაშვილი ანგელინა ავიფარის ასული,
7. კვალიაშვილი ვლადიმერ ვასილის-ძე,
8. კვარაცხელია შალვა ანდრიას-ძე,
9. ლომიძე ალექსანდრე იოსების-ძე,
10. მარგიევა-კაზაჩენკო ანა ივანეს ასული,
11. მატანოვი ალონ ნინო იოსების ასული,
12. მატანოვი ლეონ ნიკოლოზის-ძე,
13. მაღლაფერიძე ნიკოლოზ ალექსის-ძე,
14. რუხაძე ანდრია მაქსიმეს-ძე,
15. ქავთარაძე ალექსანდრე ივანეს-ძე,
16. ქიქოძე ალადიმერ გიორგის-ძე,
17. ფარიბოვი ლეონ ბაგრის-ძე,
18. ყიფიანი ნიკოლოზ კონსტანტინეს-ძე,
19. ზოჯაძიროვი ივანე გიორგის-ძე,
20. ჯანჯღავა სარდიონ პორფირეს-ძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. გოგუა
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. ᲔᲑᲔᲚᲐᲫᲔᲕᲘᲚᲘ

ქ თბილისი. 1949 წ. 9 აპრილი.

საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრება

სწავლანოვური მუშაობის თვე

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანა საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრების ერთ-ერთი ინიციატორია. ქარხნის კოლექტივი წარმატებით ასრულებს შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს. მარტში ქარხანამ შეასრულა როგორც ორთქლმავლების, ისე სატვირთო და სამგზავრო ვაგონების გამოშვების თვიური გეგმა.

განსაკუთრებული წარმატებით მუშაობდა სატვირთო ვაგონების შემკეთებელი საამქრო (უფროსი გ. ბაქრაძე). შესაკეთებელი ვაგონების დაგვიანებით მიღების გამო საამქროს კოლექტივი მარტის უკანასკნელ დეკადაში სტახანოვურ ვახტზე დადგა და თვის ბოლოსათვის უზრუნველყო კაპიტალური შეკეთებიდან გეგმის გადამეტებით ერთი ვაგონის გამოშვება.

სტახანოვურ დეკადაში მაღალნაყოფიერი შრომით თავი ისახელეს ამ საამქროს ამწეგა-ზეინკლების გ. ელისაბედაშვილისა და ვ. მიხანაშვილის, ავტომუხრუჭების ზეინკლათა ი. ადამაშვილის, დურგლების ს. ელისაბედაშვილისა და გ. სამნჯიანის, შეკვანების პ. პოლეგოდოვის ბრიგადებმა, ასევე სტახანოვური დეკადის დღეებში გამომშვავების დღიური ნორმები 400-დან 450 პროცენტამდე შეასრულეს. მღებავთა უ. ლორთქიფანიძის ბრიგადამ 24 საათში 139 საათის საშუალო შეასრულა და უზრუნველყო გამომშვავების ნორმის 579 პროცენტით განაღდება.

პირველი მაისის ღირსეული შეხვედრისათვის ორთქლმავლების ამწყობი საამქროს კოლექტივმა ქარხნის ყველა საამქროს მოუწოდა 28 აპრილისათვის შეასრულონ თვიური გეგმა და ამ მიზნით აპრილი სტახანოვურ თვედ გამოაცხადონ. საბარგო ვაგონების საამქროს კოლექტივმა 6 აპრილს განიხილა მეორთქმლავლთა ზემოაღნიშნული მიმართვა და იკისრა: თვიური გეგმა შეასრულოს 28 აპრილისათვის, გეგმის გადამეტებით აპრილში კაპიტალურად შეაკეთოს ორი ვაგონი, პროდუქციის თვითღირებულება შეამციროს სამი პროცენტით, ძველი ვარგისი მასალების გამოყენებით გასწიოს 40 ათასი მანეთის ეკონომია და დამატებით ჩამოაყალიბოს 4 ახალგაზრდული ბრიგადა. უფრო გადიდებული ვალდებულებები აკისრეს მიხანაშვილის, ანდრიაძის, ელისაბედაშვილის, ბრეგნევის, დათუაშვილის, ადამაშვილის ბრიგადებმა და ცალკეულმა სტახანოველებმა.

საამქროს კოლექტივმა თავის მხრივ შეჯიბრებაში გამოიწვია სამგზავრო ვაგონების, სამეჯლო, სადურგლო და საელმავლო საამქროთა კოლექტივები და აპრილი სტახანოვურ თვედ გამოაცხადა.

553.000 მანეთი დაზგათმშენებლებისაგან

მიმდინარე წლის პირველ კვარტალში თბილისის კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის კოლექტივმა უკვე ათთვისა 7 ახალი ტიპის დაზგის გამოშვება. დაზგების გამოშვების კვარტალური გეგმა შესრულებულია 102,2 პროცენტით, ხოლო საერთო პროდუქციის გამოშვებისა — 104,7 პროცენტით; ამასთან პირველ ორ თვეში პროდუქციის თვითღირებულება შემცირებულია 7,6 პროცენტით.

ქარხანაში ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ დაიჩქარონ საბრუნავ საშუალებათა ბრუნვა და ამით ჩვენს ქვეყანას სხვა საჭირო ბაზე გამოსაყენებლად გაუთავისუფლონ მნიშვნელოვანი თანხები. მიმდინარე წლის პირველ ორ თვეში დაზგათმშენებელთა ამ მოწინავე კოლექტივმა საბრუნავ საშუალებათა ბრუნვა დაიჩქარა 5 დღით და გაათავისუფლა 553 ათასი მანეთი.

საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრების გაშლის პირველი დღეებიდანვე ქარხნის მოწინავე მუშები შრომითი თავდადების ახალ-ახალ მაგალითებს იძლევიან. პროფესიათა მიხედვით კვარტალური დავალების შესრულებაში დაწინაურდნენ მჭედლებში შ. მანველიძე (კვარტალის დავალება 450 პროცენტით გაანაღდა), ხარატებში — ა. აგაჯანოვი (350 პროცენტი). ამწყობ-ზეინკლებში პირველობა მოიპოვეს სტახანოველებმა ა. ბენდიანიშვილმა და შ. სოსიაშვილმა, რომელთა საწარმოო მაჩვენებელია 326 პროცენტი. სამ-სამი ნორმა გამოიმუშავეს ლიონონმსმელმა ს. ფოროფეევმა და მეტუნუქე ვ. მიხანაშვილმა. ლიონონმხეზავმა ტ. ვდოვინამ, რომელიც 2 დაზგაზე მუშაობს და საბრაზივო ქვების დიდ ეკონომიას აღწევს, კვარტალის დავალება 261 პროცენტით შესრულა. ასეთივე მაღალი საწარმოო მაჩვენებლები მოიპოვეს მრანდაძმა ა. ცერცვაძემ, ზეინკლებმა ი. ფირცხალავამ და ი. ჭინჭარაულმა.

პარტიული ცხოვრება

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲑᲘᲜᲔᲢᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ

ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲜᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘᲗ

ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘᲗ

ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘᲗ

ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘᲗ

პარტიული ცხოვრება

მაღაროელი კომუნისტები მსჯელობენ ახალი ტექნიკის დანერგვის საკითხებზე

—საჭიროა ყოველმხრივ გაძლიერდეს მაღაროებში მუშაობის პროცესების, განსაკუთრებით სანგრევებში მადნის დატვირთვის მექანიზაცია და გადიდდეს მექანიზმების ნაყოფიერება, — განაცხადა ამხანაგმა კ. ჩარკვიანმა საქართველოს ბოლშევიკების XIV ყრილობაზე.

საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის შედეგებისადმი მიძღვნილი პარტიული კრებები, რომლებიც ჭიათურის მარგანეცის მაღაროებში ტარდება, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ არსებული მექანიზმების მაქსიმალურად გამოყენება-ათვისების, მათი წარმადობის გადიდების და ახალი ტექნიკის დანერგვის საკითხებს. ამ ნიმნით ჩატარდა ყრილობის შედეგების განხილვისადმი მიძღვნილი პარტიული კრებები ლენინის, სტალინის, ორჯონიკიძის სახელობის მაღაროებში, მარგანტრესტის მთავარ მექანიკურ სახელოსნოში, ცენტრალური გამაუხვებელი ფაბრიკის მშენებლობაზე.

ლენინის სახელობის მაღარო ყველაზე მექანიზებული და დიდი წარმადობისაა ამჟამად ჭიათურაში. მას ფართო პერსპექტივა აქვს. მისი სადღეღამისო წარმადობა უახლოეს ხანში ერთიორად და უფრო მეტად უნდა გაიზარდოს. ამ მაღაროს უნდა დაკმაყოფილოს ნელ-ლეულოი ცენტრალური გამაუხვებელი ფაბრიკა, რომლის მშენებლობა წელს დამთავრდება.

მაღაროს კოლექტივის წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით გადაჭრის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია მექანიზმების ათვისება, ახალი ტექნიკის დანერგვა, მისი მაქსიმალურად გამოყენება. ძირითადად ამ საკითხებზე იმსჯელა უკანასკნელად ჩატარებულმა მაღაროელ კომუნისტთა კრებამ. ეს აზრი გაატარა მომხსენებელმაც კრებაზე.

კრებაზე სიტყვა აიღო მაღაროს მუსამე უბნის გამგემ, სამთო ტექნიკოსმა ამხ. მ. გორგაძემ. ჩემი უბნის კოლექტივს საპატიო სამქე აკისრია. ჩვენ უნდა მოვამზადოთ საექსპლოატაციო ეელი ცენტრალური გამაუხვებელი ფაბრიკისათვის. ჩვენ ამ სასახელო ამოცანას ღირსეულად შევასრულებთ, რადგან სერიოზულ ყურადღებას ვუთმობთ მექანიზმების გამოყენებას. ჩვენ ავითვისეთ და შევიყვარეთ მადნის სატვირთი მანქანები „სკრეგერი“ და „ემკო“. მაგრამ ეს როდი კმარა. სამთო სამუშაოებზე კვლავ ფართოდ უნდა დანერგოთ ახალი ტექნიკა, შევასწავლოთ ადამიანებს ახალი ტექნიკით სარგებლობა.

ახალი სამთო მექანიზმების მაქსიმალურად გამოყენებისა და ტექნიკური მუშათა კადრების მომზადების აუცილებლობაზე ილაპარაკა მეშვიდე უბნის გამგემ ამხ. ი. ფხალაძემ. ჩვენს უბანში ფართო გასაქანი აქვს ახალ ტექნიკას. ჩვენ ის მექანიზმებიც კი გამოვიყენეთ, რომლებზეც მეზობელ მაღაროში უარი თქვეს. მაგრამ მექანიზმებმა რომ მაღალნაყოფიერად იმუშაონ, საჭიროა ახალგაზრდები დაეუფლონ ტექნიკას, — თქვა ამხ. ფხალაძემ.

მართალია, მექანიზმების გამოყენება-ათვისებაში ჩვენი მაღაროო სხვებს ჯობნის,—განაცხადა მაღაროს მთავარმა მექანიკოსმა ალ. ცარცაძემ, — მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ჩვენ ყველაფერი რიგზე გვაქვს. ახალ ტექნიკას ყოველთვის გონივრულად ვერ ვიყენებთ, ზოგჯერ დაბალია აგა თუ იმ მექანიზმის ნაყოფიერება. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ შრომატევადი პროცესების მექანიზებისათვის, ახალი ტექნიკის დანერგვა-ათვისებისათვის.

პარტიულ კრებაზე სიტყვით გამოვიდა მაღაროს დირექტორი, საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის დელეგატი ამხ. აკ. ფხალაძე.

— ჩვენი გადაუდებელი ამოცანაა — თქვა მან, — განსაკუთრებული ყურადღება დავუთმოთ სამუშაო პროცესების მექანიზაციას, მექანიზმების წარმადობის გადიდებას. მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ ახალი ტექნიკის დანერგვა-ათვისების გარეშე დიდად ვერ წავალთ წინ. მან მოიყვანა ციფრობრივი მონაცემები, თუ რა ახალი მექანიზმი შეემატება მაღაროს მეორე და მესამე კვარტალში, და მტკიცე რწმენა გამოთქვა, რომ მაღაროს კოლექტივი 1949 წლის გეგმას 7 ნოემბრისათვის შეასრულებს.

ხმა საკითხებთან ერთად, ახალი ტექნიკის დანერგვა-ათვისების საკითხზე ილაპარაკა პარტბიურო მდივანმა ამხ. გ. ყიფშიძემ. წარმოებაში რომ ახალი მექანიზმები უნდა დანერგოთ, ეს უდავოა, — თქვა მან. — მაგრამ სწორედ ეს აყენებს გადაუდებელ ამოცანას — გავაძლიეროთ მუშათა კულტურული სწავლება, რაც მაინცდამაინც სახარბიელოდ როდი გვაქვს დაყენებული. კომუნისტები, — აღნიშნა ამხ. ყიფშიძემ, — ავანგარდში უნდა იყვნენ ახალი ტექნიკის დანერგვა-ათვისებისათვის ბრძოლაში. ამხ. ყიფშიძე განსაკუთრებით შეჩერდა სამთო-ტექნიკური უსაფრთხოების წესების მტკიცედ დაცვის აუცილებლობაზე. ეს საკითხი ჯერ კიდევ მოუგვარებელია. ახალი ტექნიკის დანერგვა კი გადაჭრით აყენებს ამოცანას — განუხრელად გავატაროთ უსაფრთხოობის წესები.

სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე ინეირნები ვ. საღინაძე, გ. ჩაჩანიძე; ტექნიკოსები ა. ჭრელაშვილი და ა. ტყეშალაძე, რომლებმაც ილაპარაკეს მექანიზმების გონივრულად გამოყენების მნიშვნელობასა და საჭიროებაზე და სიტყვა მისცეს კრებას, რომ იბრძოლებენ ახალი ტექნიკის დანერგვისათვის, ტექნიკური პროგრესისათვის.

პ. ჭიოლაძე

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

აგიგაგორთა ზონალური სემინარები

სამტრედია. (საკ. კორ.). საგაზაფხულო ხვნა-თესვის პერიოდში სოფლად მასობრივ საგიტაციო მუშაობის გაძლიერების მიზნით პარტიის სამტრედიის რაიკომმა კულაშის, იანეთისა და საყავაჯოს სასოფლო საბჭოებში მოაწყო აგიტატორების სამდღიანი ზონალური სემინარები. სემინარის მონაწილეებმა მოისმინეს მოხსენებები: „საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის შედეგები და აგიტატორთა ამოცანები“, „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს V სესიის შედეგები“, „აგიტატორთა ამოცანები საგაზაფხულო ხვნა-თესვის დღეებში“ და სხვ.

ამასთან ერთად ჩატარდა აგიტატორთა რაიონული თათბირი, რომელსაც 550 აგიტატორი დაესწრო. თათბირმა განიხილა საკითხი — „აგიტატორთა ამოცანები საგაზაფხულო ხვნა-თესვის პერიოდში“.

აღგილობრივი გაზეთების ფურცლებზე

კოლხიდის დასახლება

საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობაზე ამხანაგმა კ. ნ. ჩარკვიანმა აღნიშნა, რომ „საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს კოლმეურნეთა გადასახლებას მცირემიწიანი რაიონებიდან უხვმიწიან რაიონებში. საჭიროა სერიოზული ზომები მივიღოთ გადასახლებულთა დაბების მშენებლობის საქმის გასაუმჯობესებლად და გადასახლების ყოველწლიური სახელმწიფო გეგმის აუცილებლად შესრულებისათვის“.

ამ მიმართულებით დიდი მუშაობა წარმოებს კოლხიდაში. „კოლხიდმშენის“ მიერ დაშრობილ ფართობებზე იქმნება ახალი ცხოვრება, შენდება ახალი სოფლები, ბაღები. აქ საცხოვრებლად მოდიან ჩვენი რესპუბლიკის მცირემიწიანი რაიონების კოლმეურნეები. მათ იციან, რომ კოლხიდის მიწა დოვლათიანია, შრომას დიდი ნაყოფი მოაქვს.

აი რას მოგვითხრობს ამის შესახებ გაზეთი „მეზნებარე კოლხიდელი“ (საქართველოს კ. პ. (ბ) ფოთის საქალაქო კომიტეტისა და მშრომელთა დეპუტატების ფოთის საქალაქო საბჭოს ორგანო):

„მიმდინარე წელს კოლხიდის დასახლების ბაზით გათვალისწინებულია აშენდეს 400 კაპიტალური საკოლმეურნეო სახლი. ეს გეგმა თითქმის ორნახევარჯერ აღემატება გასული წლის დავალებას. 1949 წელს მარტო ფოთის რაიონში, ჭალადიდის მასივზე აშენდება 170 საცხოვრებელი სახლი. დიდი სამუშაოების ჩატარებაა გათვალისწინებული კოლხიდის წყალსადენის, გზების და ხიდების მშენებლობის საქმეში“.

შაძრის ბარხლის უხვი მოსავლისათვის

საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ფართოდ გაჩაღდა მუშაობა. ხაშურელი კოლმეურნეები იბრძვიან შაქრის ჭარხლის მოსავლიანობის გასადიდებლად. ჩატარდა მეჭარხლე კოლმეურნეთა რაიონული თათბირი. მოწინავეებმა ერთმანეთს გაუზიარეს თავიანთი გამოცდილება და პირობა დადეს მოიყვანონ უხვი მოსავალი.

ხაშურის რაიონელი გაზეთი „ბოლშევიკური სიტყვა“ 12 მარტის ნომერში ბეჭდავს მასალებს საერთო აშლანგით: „აქედანვე გავაჩაღოთ ბრძოლა შაქრის ჭარხლის უხვი მოსავლისათვის“. გაზეთში დაბეჭდილია ზემო ოსიაურის კოლმეურნეობის მერგოლურის ელენე ენჯიბაძის, სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსი აგრონომის კ. ხერხეულიძის, ტეზრის კოლმეურნეობა „წითელი ვარსკვლავის“ თავმჯდომარის კ. გვარაშაძის, ვაყის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლურის ვარა ნოზაძის წერილები, რომლებშიც მოთხრობილია მუშობის იმ მეთოდებზე, რომლითაც მიღწეულ უნდა იქნას მოსავლიანობის გადიდება.

აგრონომი კ. ხერხეულიძე წერს:

„უწინარეს ყოვლისა, საჭიროა საჭარხლე ნაკვეთი თესვისათვის წინასწარ გულმოდგინედ მოამზადდეს, აოშვის წინ თვითეულ ჰექტარზე შეტანილ იქნას არანაკლებ 5 ცენტნერი მინერალური და 150 ცენტნერი ადგილობრივი სასუქი, აოშვის შემდეგ არ უნდა დაეკვეთიანოთ თესვა, რადგან ნიადაგის ზედაფენა გაბმება და მივიღებთ არათანაბარ აღმოცენებას. თესვის დროს მტკიცედ უნდა დავიცვათ თესვის სიღრმე და ხარისხი... თვითეულ ჰექტარზე აუცილებელია შევინარჩუნოთ 110-120 ათასი ღეი ბალნარე“.

მერგოლერ ვარა ნოზაძის წერილში ნათქვამია:

„სიტყვას ვიძლევი, რომ წელს რგოლისა... თვის მიჩენილი 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოვიყვანთ 620 ცენტნერ შაქრის ჭარხალს. სოციალისტურ შეჯიბრებაში ვებმები ტეზრელ მეჭარხლე ქსენია ხარატიშვილთან“.

მერგოლურმა ელენე ენჯიბაძემ ვალდებულება იკისრა 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანოს 760 ცენტნერი შაქრის ჭარხალი. ხაშურელმა მეჭარხლეებმა პირობა დადეს მთელი ფართობიდან საშუალოდ ჰექტარზე მიიღონ 200 ცენტნერი შაქრის ჭარხალი.

საჭიროა გაზეთ „ბოლშევიკური სიტყვის“ რედაქციამ შემოგზავნიც სისტემატურად გააშუქოს მეჭარხლე კოლმეურნეთა მუშაობა.

„პირველობას არ დავთმოგთ“

საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელმა ამხანაგმა კ. ჩარკვიანმა სერიოზული ამოცანები დაუსახა ქართველ მეჩაიეებს. ეს ამოცანები მზოლოდ მაშინ შესრულდება, თუ ჩაის მეურნეობის ყველა მუშაკი თავდადებით იმუშავებს. ქობულეთის რაიონის ხუცუბნის სტანციის სახელობის კოლმეურნეობის № 7 ბრიგადის ხელმძღვანელი ამხ. თ. მოწყობილი გაზეთ „ქობულეთელ კოლმეურნეში“ წერს:

„ბრიგადა, რომელსაც მეცხრე წელია ვხელმძღვანელობ, 12,2 ჰექტარ პლანტაციას უვლის. ყოველწლიურად ვადიდებ ჩაის მოსავლიანობას და პირველობას არ ვთმობ. შარშან დიდი გადაჭარხლებით შევასრულეთ დავალება და 8 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 7 ათასზე მეტი კილოგრამი ჩაის ფოთოლი მივიღეთ. როგორ ვაღწევთ წარმატებებს ჩაის უხვი მოსავლისათვის ბრძოლაში?

შრომის სწორად მოწყობა საშუალებას გვაძლევს მაქსიმალურად გამოვიყენოთ მუშახელი. მთელი პასუხისმგებლობით ვეკიდებით მოწინავე აგროტექნიკის ზუსტად გატარებას. პლანტაციების გადაბარვას შემოდგომიდანვე ვიწყებთ და 10 თებერვლამდე ვამთავრებთ. გადაბარვას როგორც წესი, 20-25 სანტიმეტრის სიღრმეზე ვახდენთ, თანაც გადაბარვისას ვიჩენთ სიფრთხილეს, რომ ჩაის ბუჩქებს ფესვები არ დაეუზიანოთ. გადაბარვასთან ერთად ნიადაგში შეგვაქვს ფოსფორიანი სასუქის გადიდებული დოზა. მოსალე ვადაში ვამთავრებთ ჩაის ბუჩქების გასხვლა-გაფორმებას, სისტემატურად ვაშენებთ წყალსაყრელ არხებს, ყოველ გაზაფხულზე ჩაის ბუჩქებს ვუამლოთ ზოთიანი ემულსიით, ნაკვეთზე შეგვაქვს აზოტი. გაზაფხულზე ჩაის ბუჩქებს პერიოდში ვიარეთ ნიადაგის განოყიერების კიდევ ერთ ლონისძიებას — ნიადაგს ვრეწავთ ნაკელწყლით, რაც აჩქარებს ბუჩქების ვეგეტაციას. ნიადაგი მუდამ ფხვიერ მდგომარეობაში გვაქვს, ვხსნით ხარეველ ბალახს და სხვ. შრომის სწორი ორგანიზაციისა და აგროწესების ზუსტად დაცვის შედეგად გასულ წელს ყველაზე უფრო დაწინაურდა ის რგული, რომელსაც სოციალისტური შრომის მგრი ალმე ჯოჯგავაძე ხელმძღვანელობს.

ახლა მთელი ძალა მაქსიმალურად ვიყენებთ ჩაის სამუშაოების დროულად დამთავრებისათვის. ყველა ზომას მივიღებთ იმისათვის, რომ ვასულ წელთან შედარებით 25 პროცენტით მაინც გავზარდოთ ჩაის მოსავლიანობა“.

კინოფიკაციისა და „კინოპროკატის“ მუშაკთა რესპუბლიკურ თათბირზე

შუდგა საქართველოს კინოფიკაციისა და „კინოპროკატის“ მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი.

თათბირზე კინოფიკაციისა და „კინოპროკატის“ მუშაობის 1948 წლის შედეგებისა და 1949 წლის ამოცანების შესახებ მოხსენებით გამოვიდა საქართველოს სსრ კინემატოგრაფის მინისტრი ამხ. გ. კიკნაძე.

საქართველოს კინემატოგრაფია, — ამბობს მომხსენებელი,—ამაყობს თბილისის კინოსტუდიის მიერ გამოშვებული სატკეთესო კინოფილმ „ფიცი“ (დადგმა მ. ჭიაურელის), რომელიც დიდი პოპულარობითა და სიყვარულით სარგებლობს მთელ საბჭოთა კავშირში. საქართველოს კინემატოგრაფიის დიდ წარმატებად ჩაითვლება აგრეთვე ისეთი მაღალმხატვრული ფილმები, როგორიცაა: „გიორგი საკაძე“, „დავით გურამიშვილი“, „ჯუერღალი ფარი“ და სხვ.

მაგრამ, — ამბობს მომხსენებელი, — საქართველოს კინემატოგრაფიის მუშაკები ჯერ კიდევ მოლიანად ვერ იყენებენ ყველა იმ შესაძლებლობას, რაც მათ აქვთ. ამის შესახებ საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობაზე საძართლიანად მიგვითითა ამხანაგმა კ. ჩარკვიანმა.

შემდეგ ამხ. კიკნაძე შეეხო საქართველოს კინოფიკაციის ქსელის მუშაობას და აღნიშნა, რომ ამჟამად რესპუბლიკის პერიფერიებში 400-მდე კინოდანადგარია. აქედან 200 ემსახურება სოფლებს. მიმდინარე წელს დამატებით მოეწყობა 54 კინოდანადგარი.

1948 წელს საფინანსო გეგმების შესასრულებლად განსაკუთრებით კარგად იმუშაეს კინოფიკაციის თბილისის, მახარაძის, ახალციხის რაიონის, ქუთაისის და ფოთის საქალაქო და აჭარის სსოლქო განყოფილებებმა. ზუგდიდისა და თელავის საქალაქო კინოთეატრებს კარგი მუშაობისათვის გადაეცათ კინემატოგრაფიის სამინისტროს სიგელები.

მიუხედავად ამისა, კინოფიკაციის მთელ რიგ განყოფილებებს თავიანთ მუშაობაში სერიოზული ნაკლოვანებანი აქვთ. მაგალითად, გასულ წლის ფინანსური გეგმები ვერ შეასრულეს კინოფიკაციის სამხრეთ ოსეთის სოლქო, ქუთაისის, ორჯონიკიძის, ბაგდანოკორის, ჩიხატაურის, ნაგარეულის, ცაგერის რაიონების განყოფილებებმა.

ამხ. კიკნაძემ დამსწრეთა ყურადღება გააპახვილა კინოთეატრების სუფთაებით მომარაგების საკითხზე და აღნიშნა: — მიუხედავად იმისა, რომ „გლავკინოპროკატის“ საქართველოს განყოფილებამ გასულ წელს მნიშვნელოვნად გაუმჯობესება მუშაობა, თითქმის 6-ჯერ გაადიდა კინოსურათების რაოდენობა, ეკრანებზე გამოუშვა 70 ახალი სურათის 565 ეგზემპლარი, სოფლის კინოთეატრები მაინც ცუდად მარაგდებიან. სოფლად იგზავნება შეუფერებელი სურათები, ამასთან—დაგვიანებით. ცოტა სასოფლო-სამეურნეო, აგროტექნიკური და სამეცნიერო პოპულარული ხასიათის სურათები, განსაკუთრებით ქართულ ენაზე.

ბოლოს მომხსენებელმა დასახა მთელი რიგი ღონისძიებანი, შეეხო კინოფიკაციის მუშაკთა იდეურ-პოლიტიკური დონისა და კვალიფიკაციის ამაღლების საკითხებს.

მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო 31 კაცმა. მოკამათეებმა ერთმანეთს გაუზიარეს თავიანთი მუშაობის გამოცდილება და მრავალი საქმიანი წინადადება შეიტანეს კინოფიკაციის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

თათბირზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილების გამგის მოადგილე ამხ. გ. ჯიბლაძე.

თათბირმა განხილულ საკითხზე მიიღო სათანადო გადაწყვეტილება.

თათბირის მონაწილეებმა დიდი აღფრთოვანებით მიიღეს მისალმება ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი.

სამომხმარებლო კოოპერაციულ საზოგადოებათა ორგანოების ანგარიშგება-არჩევნები წარმატებით მიმდინარეობს

მახარაძე. (საკ. კორ.). დაიწყო სოფლის კოოპერატივების, რაიკოოპავშირების ხელმძღვანელი და საკონტროლო ორგანოების ანგარიშგება-არჩევნები. ანგარიშგებასა და არჩევნებში მეპაიეთა ფართო საზოგადოებრივობა იღებს მონაწილეობას. კრებებზე საქმიანი კრიტიკითა და თვითკრიტიკით ამხილებენ საბჭოთა ვაჭრობაში არსებულ ნაკლოვანებებს და სახავენ საჭირო ღონისძიებებს.

საანგარიშო პერიოდში მახარაძის რაიკოოპკავშირის სისტემის სოფლის კოოპერატივებმა საცალო საქონლეობრივნეის გეგმა 121,4 პროცენტით შეასრულეს, ახალ წევრთა შეკავშირების გეგმა 315 პროცენტით, ხოლო საპაიო თანხების აკრეფის გეგმა კი 286,1 პროცენტით. ამ მხრივ რაიონში ყველაზე კარგი წარმატებანი მოიპოვა ნატაენების სოფლის კოოპერატივმა, რომელსაც გადაეცა რაიკავშირისა და კოოპერაციის მუშაკთა რაიონული პროფკავშირის გარდამავალი წოლილი დრმა.

სოფლის კოოპერატივებს შორის ცუდად იმუშავა საგარეუბნო კოოპერაციამ (გამგეობის თავმჯდომარე ივ. გაგუა), რომელმაც 1948 წელი 44.200 მანეთის ზარალით დაამთავრა. მაგრ გასული წლის მეოთხე კვარტალის საკონტროლეთ 55 პროცენტით შეასრულა და მიმოქცეული ხარჯებში 17.300 მანეთი გადახარჯა. ასევე ცუდად იმუშავეს სოფელ ბახვისა და ზოგიერთი სხვა სოფლის კოოპერატივმა.

მეპაიეები საანგარიშო კრებებზე სამართლიანად აღნიშნავენ, რომ სოფლის კოოპერატივების გამგეობები დაშორებული სოფლებისათვის არ აწყობენ დატარებითსა და გამსვლელ ვაჭრობას, ბევრგან საავარო შენობებს არ უკეთებენ საჭირო რემონტს, ზოგიერთ საკაროებში ანტისანიტარული მდგომარეობაა, საავაჭროები ნაკლებად არიან მომარაგებული საკალდებული ასორტიმენტის საქონლით და სხვა. ამასთან ერთად მეპაიეები აყენებენ სამ ბინ წინადადებებს კოოპერაციის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

საგზაო მშენებლობის მუშაკთა ამოცანები

ბოლშევიკური პარტია და საბჭოთა მთავრობა მუდამ ზრუნავენ გზების მშენებლობისა და კეთილმოწყობისათვის. ყოველწლიურად ათეულ მილიონობით მანეთი იხარჯება ამ დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეზე.

მიმდინარე ხუთწლედის ბოლოს საბჭოთა სახელმწიფო იქნება ძლიერი საავტომობილო ქვეყანა, რომლის ადმინისტრაციული თუ კულტურული ცენტრები კარგი საავტომობილო გზებით დაუკავშირდება შორეულ დასახლებულ პუნქტებსაც კი.

როგორც ცნობილია, ჩვენი რესპუბლიკის ადგილმდებარეობა უმეტესად მთაგორიანია. რა თქმა უნდა, რკინიგზის ქსელის ფართოდ გაშლა ერთგვარად შეზღუდულია. აქედან ცხადია, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება გზატკეცილებისა და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობას, ქალაქებთან და რაიონულ ცენტრებთან დაკავშირებული გზების გაფართოებას, მათ კეთილმოწყობას.

ამ უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში საავტომობილო გზების სიგრძე საქართველოში 1.540 კილომეტრით გადიდდა. არ არსებობს ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი ადმინისტრაციული ან კულტურული ცენტრი, რომ ის დაკავშირებული არ იყოს საავტომობილო გზით რესპუბლიკის ცენტრალურ პუნქტებთან.

საავტომობილო გზებით მნიშვნელოვნად უზრუნველყოფილია მთაგორიანი ადგილებიც, მაგალითად, ზემო სვანეთის, ქვემო სვანეთის და ფშავ-ხევსურეთის რაიონები, კურორტები ბახმარო, საირმე და სხვ. შარშან საკოლმეურნეო სოფლის მოსახლეობის აქტიური დახმარებით მნიშვნელოვანი მოსაზღვრული სამუშაოები შესრულდა საავტომობილო გზის ასაგებად ბორჯომ-ბაკურიანის, ბაკურიანი-ბაზალეთის, ბაზალეთი-ფასანაურის, ფასანაური-ბაზალეთის, ბაზალეთი-ბაკურიანის, ბაკურიანი-ბორჯომის,

სოციალისტური სახელმწიფო კონტროლის 30 წელი

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისა გამარჯვების შედეგად ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასმა ხელში აიღო ძალაუფლება, დაამსხვრია ძველი ბურჟუაზიულ-ლენაძულური სახელმწიფო აპარატი და დაიწყო ახალი, საბჭოთა სახელმწიფო აპარატის შექმნა. მაგრამ იმ პერიოდში მუშათა კლასს ჯერ კიდევ არ გააჩნდა საკმაო საკუთარი კულტურული ძალები სახელმწიფოს მართვისათვის და იძულებული იყო გამოეყენებინა ძველი ბურჟუაზიული სახელმწიფო აპარატის მუშაკები. მათი ნაწილი, სარგებლობდა რა ხელისუფლების სათავეში მყოფ მუშათა და გლეხთა არასაკმაო გამოცდილებით, ეწეოდა საბოტაჟს, ცდილობდა დაენერგა ძველი ბურჟუაზიული ჩვეულები და ტრადიციები. საჭირო იყო ისეთი ორგანოს შექმნა, რომელიც ბრძოლას გააჩაღებდა საბოტაჟის, ბიუროკრატიზმის, მტაცებლობის წინააღმდეგ. ასეთ ორგანოს წარმოადგენდა სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარიატი.

ვ. ი. ლენინის წინადადებით ნამდვილი სოციალისტური ხასიათის კონტროლის ორგანიზაცია ამხანაგ სტალინის დაეკალა. 1919 წლის 30 მარტს ამხანაგი სტალინი დაინიშნა სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისრად. 1920 წლის 8 თებერვალს სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარიატი გადაკეთდა მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატად.

ამხანაგ ი. ბ. სტალინის მიერ წამოყენებული პროექტი დეკრეტისა სახელმწიფო კონტროლის შესახებ ერთხმად იქნა მიღებული 1919 წლის 9 აპრილს სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ. ამ დეკრეტით სფუძველი ჩაეყარა სოციალისტური სახელმწიფო კონტროლის ორგანიზაციას ჩვენს ქვეყანაში.

მას შემდეგ ოცდაათმა წელმა განვლო. ამ ხნის განმავლობაში სახალხო მეურნეობის განვითარებასთან და სამეურნეო-პოლიტიკურ ამოცანათა შეცვლასთან ერთად იცვლებოდა კონტროლის ორგანიზაციული ფორმები, იცვლებოდა მისი მოცულობა და ფუნქციები, მაგრამ უცვლელი რჩებოდა მისი არსი — დახმარებოდა პარტიას სახელმწიფო აპარატის შემდგომ განმტკიცებასა და მისი ცალკეული რგოლების მუშაობის გაუმჯობესებაში.

1920 წელი მუშაჯრნინისათვის იყო ძალების დაგროვების, ახალი კადრების ჩამოყალიბებისა და მუშაობის ახალი მეთოდების გასინჯვის წელი. 1920 წლის 15 ოქტომბერს ამხანაგმა სტალინმა გახსნა მუშათა და გლეხთა ინსპექციის პასუხისმგებელ მუშაკთა პირველი სრულიად-რუსეთის თათბირი. ამ თათბირმა ცხადყო თავისი მსჯელობითა და შედეგებით დიდი სახელმწიფოებრივი მუშაობა, რაც მუშაჯრნინმა ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით ჩაატარა.

